

# უნივერსიტეტი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი

№5 (96) 2019

## ევროპის აკადემიის რეგიონული კვლევითი ცენტრი თსუ-ში



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ევროპის აკადემიის თბილისის რეგიონული ცენტრი გაიხსნა. ცენტრი „აკადემია ევროპეას“ რეგიონული ცენტრების ქსელის ნაწილს წარმოადგენს, პირველია ჩვენს რეგიონში და რიგით მეხუთეა ესპანეთის, ინგლისის, ნორვეგიისა და პოლონეთის შემდეგ. თბილისის რეგიონული ცენტრის დაფუძნების თაობაზე თსუ-სა და ევროპის აკადემიას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს ხელი უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ და ევროპის აკადემიის პრეზიდენტმა სირდ ქლოეთინგმა მოაწერეს.

„ევროპის აკადემია უდიდესი ქსელია, სადაც დაახლოებით 4 ათასი მკვლევარია გაერთიანებული. ცენტრი ნებისმიერი მეცნიერისთვის მნიშვნელოვან დაფინანსების წყაროს წარმოადგენს. ეს არის ევროპისკენ გადადგმული ძალიან მტკიცე ნაბიჯი და კარგია, რომ კვლევის მიმართულებით ასეთი ნაბიჯი გადაიდგა“, – განაცხადა თსუ რექტორმა გიორგი შარვაშიძემ.

პრემიერ მინისტრმა მამუკა ბახტაძემ საზოგადოებას საქართველოში Academia Europaea -ს რეგიონული ცენტრის გახსნა მიულოცა და აღნიშნა, რომ ცენტრი, როგორც აკადემიური, ისე პოლიტიკური მნიშვნელობისაა.

გაგრძელება მე-2 გვ.

## საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე პროგრამა „საჯარო მმართველობა“ (შპაიერი) 10 წლისაა

Deutsche Universität für Verwaltungswissenschaften Speyer

10 წელი შეუსრულდა საქართველოში პირველ საერთაშორისო აკრედიტებულ პროგრამას „საჯარო მმართველობა“, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქალაქ შპაიერის (გერმანია) ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტთან თანამშრომლობით ხორციელდება.

პროგრამა მიზნად ისახავს მომავალი საჯარო მოხელეების მომზადებას, თანამედროვე საჯარო ადმინისტრირების მოთხოვნების შესაბამისად, ტრადიციული და ინოვაციური მეთოდების გამოყენებით, შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნების შესაბამისი, მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი და დამოუკიდებელი კვლევის უნარის მქონე კადრების მომზადებას.

პროგრამა შეასწავლის საჯარო მოხელესათვის აუცილებელ ეროვნულ და საერთაშორისო სამართლებრივ რეგულაციებს, ეკონომიკურ სტანდარტებს, ეროვნულ სამართლებრივ სისტემებში ევროკავშირის მმართველობის ინტეგრირების პროცესებს, სახელმწიფო ბიუჯეტის დაგეგმვისა და განხორციელების თავისებურებებსა და სხვა.

ქეთევან გოლეთიანი „საჯარო მმართველობის“ სამაგისტრო პროგრამის სტუდენტია. 4 სემესტრის წარმატებით დასრულების შემდეგ, მე-5 სემესტრში სამაგისტრო ნაშრომს ამზადებს. ჩაბარების პირველივე წელს გაცვლითი პროგრამით დუბლინის საუნივერსიტეტო კოლეჯში სწავლობდა. პროგრამის ფარგლებში ასევე იმყოფებოდა შპაიერის უნივერსიტეტში 2-კვირიან საზაფხულო სკოლაში. სტუდენტებისთვის ყველაზე საინტერესოა ისიც,

გაგრძელება მე-3 გვ.

## ISET-ის სტუდენტები საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროექტის გამარჯვებულები გახდნენ



თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (აისეტი) საბაკალავრო პროგრამის მეორე კურსის სტუდენტები, ლევან მიქელაძე და სერგო გადელია საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) „Fund Challenge“ პროექტის გამარჯვებულები გახდნენ. მათთან ერთად პროექტის გამარჯვებულებად კიდევ ორი გუნდი დაასახელეს. ლევანი და სერგო, როგორც საქართველოდან ერთადერთი გამარჯვებული გუნდის წევრები, ვაშინგტონში იმყოფებოდნენ, სადაც IMF-ის საგაზაფხულო შეხვედრებს, სემინარებსა და პრესკონფერენციებს ესწრებოდნენ. ხვდებოდნენ პოლიტიკური და აკადემიური წრეების, ასევე სამოქალაქო ორგანიზაციების წარმომადგენლებს. „Fund Challenge“ პროექტის მიზანია, გააღვივოს ინტერესი ბაკალავრიატის სტუდენტებში საბაზისო მაკროეკონომიკური ანალიზის მეთოდებისადმი, უკეთ გააცნოს მათ ფონდის საქმიანობა და ხელი შეუწყოს დიალოგს MCD-ის ქვეყნების ახალგაზრდებს შორის.

„საერთაშორისო სავალუტო ფონდში სასიამოვნოდ გაკვირვებულები დარჩნენ საქართველოდან სერიოზული გუნდის ხილვით და ასევე, იმ ფაქტით, რომ სხვა ფინალისტებსაგან განსხვავებით, რომლებიც დამამთავრებელი კურსის სტუდენტები იყვნენ, ჩვენ ჯერ კიდევ მეორე კურსელები ვიყავით, რომელთაც ეკონომიკურ ანალიზში თითქმის არ გვქონდა გამოცდილება. ფინალისტობა იყო დიდი გამოცდილება და ასევე, მნიშვნელოვანი მომავალი კარიერისთვის“, – იხსენებს სერგო გადელია. „ბაკალავრიატის მეორე კურსის სტანდარტული კურსები ძირითადად საფუძვლების შესწავლას ითვალისწინებს და საკითხის სიღრმეებზე არაა კონცენტრირებული. რა თქმა უნდა, აისეტის ეკონომიკის სხვა პროგრამებთან შედარებით სწავლის და მიღებული ცოდნის მაღალი ხარისხი და დიდი მოცულობა საკმაოდ დაგვეხმარა, გავმკლავებოდით დავალებებს, მაგრამ კონკურსი ასევე, მოითხოვდა უნარებს, რომელსაც ვერ შევიძენდით, რომ არა ჩვენი დაუღალავი შრომა. ასე რომ, ფინალისტებში გასვლა ნამდვილად შრომისა და აისეტის მაღალი დონის ცოდნის ერთობლივი შედეგია.

IMF fund challenge ითვალისწინებდა 35 ქვეყნის მასშტაბით საუკეთესო ბაკალავრი ეკონომისტების აღმოჩენას. მე და ჩემმა თანაგუნდელმა, ლევან მიქელაძემ, თავდაპირველად გავიარეთ საკმაოდ

გაგრძელება მე-2 გვ.

## თსუ „შემოდგომის ლეგენდის“ გამარჯვებულები ევროპის ლიტერატურული პრიზის ფინალში



2019 წლის ევროპის ლიტერატურული პრიზის სამ ფინალისტს შორის ორი თსუ სტუდენტური ლიტერატურული კონკურსის „შემოდგომის ლეგენდის“ გამარჯვებულია.

ბექა ადამაშვილი და ივა ფეზუაშვილი 2019 წლის ევროპის ლიტერატურული პრიზის გამოსავლენად შექმნილმა სპეციალურმა ჟიურიმ საკონკურსოდ შემოსულ 9 ავტორს შორის შეარჩია.

„შემოდგომის ლეგენდა არის პირველი სერიოზული ლიტერატურული კონკურსი, რომელშიც საკუთარი შესაძლებლობები გამოვცადე“, – გვეუბნება ბექა ადამაშვილი, – „შესაბამისად, იქ მიღწეული წარმატება ნამდვილად შეიძლება ყოფილიყო ბიძგი სამომავლოდ ლიტერატურაში ბედის საცდელად. თუმცა, ნებისმიერი განვითარება თუ წარმატება, არა ერთი და ორი კონკრეტული შემთხვევის, არამედ საკუთარ თავზე იმაზე უფრო ხშირად მუშაობის შედეგია, ვიდრე ამას მე ვაკეთებ. მსგავსი კონკურსების სიმრავლე კი, მინიმუმ საკუთარ თავზე მუშაობის სიხშირეს მაინც შეუწყობს ხელს“, – ამბობს ბექა. მისთვის კონკურსის ფინალისტობა საინტერესოა, იქიდან გამომდინარე, რომ წელს საქართველო პირველად შეუერთდა კონკურსს და როგორც თვითონ ამბობს, – „პოტენციურმა გამარჯვებულმა შესაძლოა მეტი ყურადღების მიპყრობა შეძლოს“.

„ბესტსელერის“ მსგავსად, „ამ რომანში ყველა კვდება“ შევეცადე, რომ თემატიკა უფრო „საერთაშორისო“ და ერთნაირად გასაგები ყოფილიყო ლიტერატურის მოყვარული ან ლიტერატურული კლიშეების მოძულე ნებისმიერი ეროვნების ადამიანისათვის. ზოგადად, რთულია განსაზღვრო კრიტერიუმები, თუ რამდენად საინტერესოა ესა თუ ის წიგნი, თუმცა, ამ შემთხვევაში სხვადასხვა ლიტერატურული ექსპერიმენტი, სტილებით თამაში და „სახალისოობა“, რომელიც მკითხველთა ნაწილის აზრით, ამ წიგნის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია, ლიტერატურის მოყვარულებს მინიმუმ დროის გაყვანაში ნამდვილად დაეხმარება“, – ამბობს ბექა ადამაშვილი.

ევროპის ლიტერატურული პრიზის კონკურსი წიგნის გამავრცელებელთა ევროპული და საერთაშორისო ფედერაციის, ევროპის მწერალთა საბჭოსა და ევროპელ გამომცემელთა ფედერაციის ევროპული კომისიის (ევროკავშირის) ორგანიზებით გამოცხადდა მწერლებისთვის, რომლებსაც ერთი ან რამდენიმე წიგნი უკვე აქვთ გამოქვეყნებული, მაგრამ სალიტერატურო კრიტიკისა და ფართო მკითხველის ფოკუსში ჯერ არ მოხვედრილან.

კონკურსში მონაწილე თოთხმეტივე ქვეყანაში გამარჯვებული 15 აპრილს გამოვლინდება და მიიღებს ფულად ჯილდოს 5 000 ევროს ოდენობით. გამარჯვებული ავტორების ტექსტები გამოიცემა ინგლისურად, ფრანგულად და გამოქვეყნდება ერთ კრებულად.

## მოსამზადებელი პროგრამა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები აბიტურიენტებისთვის

ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები 70 ახალგაზრდა სკოლისშემდგომი განათლების მოსამზადებელ პროგრამას ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაივლის. მოსამზადებელი პროგრამა 17 აპრილიდან დაიწყება და 19 ივლისს დასრულდება.

„ძალიან მნიშვნელოვანი პროექტი იწყება. მოსამზადებელი პროგრამა მათ საშუალებას მისცემს მოემზადონ, აირჩიონ პროფესია და შემდგომში შეძლონ სრულფასოვნად ისწავლონ არჩეული პროფესიით ნებისმიერ აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებელში საქართველოს ტერიტორიაზე. დარეგისტრირებულ აბიტურიენტთა ნახევარზე მეტი თსუ-ში გაივლის პროგრამას, მათი ნაწილი იცხოვრებს ლისის საერთო საცხოვრებელში, სადაც მშვენიერი პირობებია შექმნილი საცხოვრებლად, სასწავლად“, – აღნიშნა პროგრამის პრეზენტაციაზე თსუ რექტორმა გიორგი შარვაშიძემ.

გვ. 2

## სევილის წარმატების გზა განათლებისკენ – როცა წინაღობები არ გაშინებს



თსუ იურიდიული ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტმა წარმოშობით აზერბაიჯანელმა სევილ ომაროვამ საკმაოდ დიდი და არც თუ მარტივი გზა განვლო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოსახვედრად. უმაღლესი განათლების მიღებაზე სკოლაში სწავლის პერიოდიდან მოყოლებული ფიქრობდა. თუმცა, ოცნების განხორციელებაში ხელს ბევრი ფაქტორი უშლიდა, მათ შორის ოჯახური მდგომარეობა.

გვ. 4

## თსუ მაგისტრანტი – ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაციის (ელსა) გენერალური მდივანი



თსუ იურიდიული ფაკულტეტის მაგისტრანტი ნანა გეგია ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაციის გენერალური მდივანი გახდა. ნანა ერთი წლის განმავლობაში ბრიუსელში განაგრძობს ცხოვრებას, სადაც ასოციაციის მთავარი ოფისიდან კოორდინაციას გაუწევს ორგანიზაციის საქმიანობას. ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაცია (ელსა) არის მსოფლიოში უდიდესი დამოუკიდებელი, აპოლიტიკური და არასამეწარმეო იურისტ სტუდენტთა გაერთიანება, რომელიც წარმოდგენილია ევროპის 44 სახელმწიფოს 390-მდე უნივერსიტეტში. ორგანიზაციას ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში საკუთარი წარმომადგენლები ჰყავს ისეთ ავტორიტეტულ საერთაშორისო ორგანიზაციებში, როგორებიცაა: UNESCO, ECOSOC, UNCITRAL, გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი.

გვ. 4

# საქართველოს სტუდენტები და მეცნიერები კორნელის უნივერსიტეტის (აშშ) კვლევებში



კორნელის უნივერსიტეტი (აშშ) გლობალური მნიშვნელობის კვლევას იწყებს. უნივერსიტეტის პროფესორებისა და სტუდენტების მიზანია შექმნან მდგრად მომწოდებელთა ქსელის ზუსტი (გაზომვადი) საოპერაციო სტანდარტი. საქართველო არის პირველი ქვეყანა, რომელიც ჩაერთო ამ მიმართულებით კვლევაში. კვლევის ფარგლებში, მომავალში მწვანე ეკონომიკის და შრომის ეთიკური სტანდარტების რეგიონული კვლევითი ცენტრის გახსნა იგეგმება.

კორნელის უნივერსიტეტის სტუდენტები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებსა და რექტორს შეხვდნენ. მათ ჰქონდათ შეკითხვები ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური და საგანმანათლებო პერსპექტივების შესახებ.

„სილქ როუდ ჯგუფის“ და „სილქნეტის“ მხარდაჭერით, საქართველოში ჩამოვიდა Cornell-ის უნივერსიტეტის ბიზნეს კოლეჯის მაგისტრანტთა ჯგუფი. პროექტის ძირითადი ფოკუსია საქართველოში ღვინის წარმოება, მწარმოებელთა მიერ აწყობილი მომწოდებელთა და მომხმარებელთა ქსელი, ა.შ. ამ მხარდაჭერის მიზანია, რომ წინანდლის ისტორიულ მამულში, სადაც არაერთი კულტურული და საგანმანათლებლო ინიციატივა იმართება, დაარსდეს მწვანე ეკონომიკის და შრომის ეთიკური სტანდარტების რეგიონული კვლევითი ცენტრი. ეს ინიციატივა ეხმიანება გასულ წელს წინანდლის ისტორიულ კომპლექსში მემორანდუმის ხელმოწერას საქართველოს მთავრობას და Grace farms – Unchain-ს შორის. მემორანდუმი ითვალისწინებს ადამიანის უფლებების, კერძოდ კი, გამჭვირვალე და მდგრადი ბიზნესის წარმოებას, მომწოდებელთა ქსელისა და შრომითი პირობების კუთხით (მოდერნ სლავერყ/ფორცედ ლაბორ), რითიც ჩვენმა ქვეყანამ დააფიქსირა მზაობა და კურსი „მწვანე ეკონომიკისაკენ“, – გვიყვება სილქნეტის კორპორაციული კომუნიკაციების ხელმძღვანელი, ლიკა მეტრეველი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებთან დისკუსია საქართველოში ადამიანის უფლებებს, გამჭვირვალე და მდგრადი ბიზნესის წარმოებას, მომწოდებელთა ქსელსა და შრომით პირობებს შეეხო. კორნელის ბიზნეს კოლეჯის სტუდენტების თქმით, თსუ სტუდენტებთან გამართული დისკუსია მათ კვლევაში მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს. ისინი მომავალში თსუ სტუდენტებთან თანამშრომლობას გეგმავენ.

„შევხვდით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს, ნამდვილად საინტერესო და ნაყოფიერი შეხვედრა იყო, გავეცანით მათ მოსაზრებებს ქართულ ეკონომიკასა და მის პერსპექტივებზე, არსებულ პრობლემებზე. დისკუსიის დროს თსუ სტუდენტებს შორის ბევრი განსხვავებული აზრი წამოიჭრა, რამაც უფრო საინტერესო გახადა ჩვენი შეხვედრა. მადლობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს და სტუდენტებს, ჩვენ გავცვალეთ კონტაქტები და მომავალში აუცილებლად ვითანამშრომლებთ“, – ამბობს მაიკ კოვალსკი, კორნელის ბიზნეს კოლეჯის დოქტორანტი.

ვიზიტის ფარგლებში კორნელი უნივერსიტეტის სტუდენტები საქართველოს პრემიერ მინისტრს, მინისტრებს, კერძო კომპანიებსა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს შეხვდნენ.

# ISET-ის სტუდენტები საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროექტის გამარჯვებულები გახდნენ

*1-ლი გვერდიდან*



მაღალი დონის მაკროეკონომიკური დიაგნოსტიკის კურსი, რომლითაც შევისწავლეთ ზუსტად ის ინსტურმენტები, რომლებიც დაგვეხმარებოდა შემდგომი ეტაპის დავალების შესასრულებლად. შემდეგ ეტაპზე, ჩვენ დაგვევალა თურქეთის ეკონომიკის ფართო ანალიზი, პრობლემების, რისკების აღმოჩენა და მოგვარების გზების დასახვა და ასევე ეკონომიკური ინდიკატორების პროგნოზების გაკეთება შესაბამის მონაცემებზე დაყრდნობით. ბოლო ეტაპი ითვალისწინებდა სამი ფინალისტი გუნდის მიერ, რომელთა შორის ჩვენც აღმოვჩნდით, ვაშინგტონში, საერთაშორისო სავალუტო ფონდის ოფისში, ორგანიზაციაში მომუშავე მაღალი რანგის ეკონომისტებისთვის ჩვენი ანალიზის წარდგენას.

მე და ლევანი შევხვდით არაერთ მნიშვნელოვან ოფიციალურ პირს, ორგანიზაციის წარმომადგენლებს. მნიშვნელოვანია, რომ წარმოვადგენდით ჩვენს უნივერსიტეტს და რა თქმა უნდა, ჩვენს ქვეყანას ორგანიზაციაში, სადაც ქართველი ეკონომისტების დეფიციტია“, – ამბობს სერგი.

სერგიმ აისეტის შესახებ დაახლოებით მეთერთმეტე კლასში გაიგო. ეკონომიკამ, როგორც მეცნიერებამ, ჯერ კიდევ აბიტურიენტობამდე დამაინტერესა. სერგისთვის საინტერესო აღმოჩნდა ის, თუ როგორ შეეძლო ეკონომიკას აეხსნა ადამიანთა სხვადასხვა ქცევა და ამავე დროს მათემატიკური მოდელებით, მეტ-ნაკლები სიზუსტით აღეწერა მსგავსი ქაოტური ქმედებები.

„ხშირად ვეცნობოდი სხვადასხვა სიახლეს, მათ შორის აისეტის ანგარიშებსა თუ ბლოგებს. სწორედ მაშინ აღმოვაჩინე, რომ აისეტი იყო რეგიონის მასშტაბით პრესტიჟული ინსტიტუტი, სადაც საკმაოდ მაღალი ხარისხის ეკონომიკის ცოდნას იძლეოდნენ მაგისტრატურის დონეზე. ასევე გავიგე, რომ ისეთი სახელმწიფო თუ კერძო სტრუქტურების დიდი ნაწილი, როგორიცაა ეროვნული ბანკი, ფინანსთა სამინისტრო და ა.შ, სწორედ აისეტის კურსდამთავრებულებით კომპლექტდებოდა. ამიტომ მაგისტრატურის ერთ-ერთ მთავარ ვარიანტად აისეტს განვიხილავდი. აბიტურიენტობის პერიოდში შევიტყვე რომ აისეტი ბაკალავრიატის პროგრამასაც ხსნიდა, ამიტომ, ზემოთჩამოთვლილი მიზეზების გამო დაუფიქრებლად პროგრამების ჩამონათვალში პირველ ადგილზე მისი ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა მივუთითე.

ვფიქრობ, აისეტმა ჩემი მოლოდინები არა მარტო გაამართლა, არამედ გადააჭარბა კიდეც მათ. მრავალფეროვანი და საინტერესო საგნები, კარგად გაწერილი პროგრამა, მაღალი ხარისხის განათლება და რაც მთავარია მაღალი დონის ქართველი და უცხოელი პროფესორები თანამედროვე მიდგომებით – ყველა ეს ფაქტორი კომბინაციაში მაძლევს საშუალებას, ვთქვა, რომ არჩევანში არ შევმცდარვარ.“ – აღნიშნავს სერგი. ის და ლევანი მომავალში, ბაკალავრიატის დასრულებისას მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელებენ, ან საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემოთავაზებული ორწლიან კვლევით სტაჟირებას გაივლიან. ნებისმიერ შემთხვევაში, საკუთარ თავს საჯარო სფეროში წარმოიდგენენ.

„ეს ძალიან მნიშვნელოვანი პროფესიული გამოცდილებაა და თავისი ხარისხით და პრესტიჟით მაგისტრატურას უტოლდება. შემდგომ სადოქტორო პროგრამაზე სწავლის გაგრძელებაზეც ვფიქრობთ. მე და ლევანი თავს უფრო საჯარო სფეროში ვხედავთ, სადაც ეკონომიკის პრაქტიკულ გამოყენებას შევძლებთ, თუმცა, მე პირადად მეორე ვარიანტად აკადემიურ სფეროსაც განვიხილავ“, – გვეუბნება სერგი.

# ევროპის აკადემიის რეგიონული კვლევითი ცენტრი თსუ-ში

*1-ლი გვერდიდან*



„ჩვენ ვამაყობთ ჩვენი ისტორიითა და დიდი წარსულით, რომელიც სწორედ განათლებასა და კულტურაზე დგას. განათლება არის უმოკლესი გზა თავისუფლებისკენ და ჩვენ წინაშე არსებული ყველა გამოწვევის დაძლევაში დაგვეხმარება. ჩვენი მიზანია საქართველომ განათლების კერის სტატუსი დაიბრუნოს. გვერგო პატივი ევროპის აკადემიის მეხუთე ჰაბი გაგვეხსნა. ეს არის ევროპული ინტეგრაციისკენ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი. ქართველი ერის არჩევანი, რომ საქართველო აუცილებლად დაუბრუნდეს თავის ევროპულ ოჯახს. ეს არ გახლავთ მხოლოდ პოლიტიკური არჩევანი, ეს არის ცივილიზაციაზე და ფასეულობებზე დაყრდნობილი არჩევანი და დღევანდელი დღე ამის საუკეთესო მაგალითია. დღევანდელი დღე იქნება მეცნიერებისა და ტექნოლოგიის პროგრესის დასაბამი“, – განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

ცენტრის გახსნასთან დაკავშირებით, თსუ-ში Academia Europaea -ს ცენტრალური მმართველობის, ევროპული რეგიონული ჰაბებისა და სამეცნიერო საბჭოს წევრების საქმიანი ვიზიტი ხორციელდება. ცენტრი შეეცდება განავითაროს და განავრცოს სამეცნიერო კვლევისა და აკადემიური ცოდნის უმაღლესი ხარისხის სტანდარტები მეცნიერების ყველა დარგში.

„ევროპის აკადემიური ცენტრი საშუალებას მისცემს ქართველ მეცნიერებს უფრო დაუახლოვდნენ ევროპის საგანმანათლებო კვლევით და სამეცნიერო სივრცეს. ცენტრი იქნება ერთგვარი ინსტრუმენტი, სადაც ქართველი მეცნიერები საკუთარი კვლევის შედეგებს გააცნობენ ქართულ-ევროპულ საზოგადოებას, ისინი ასევე ისარგებლებენ მრავალფეროვანი ევროპული დაფინანსებით. ჩვენ ვქმნით ახალ შესაძლებლობებს ქართველი მკვლევარებისთვის და ინოვატორებისთვის“, – აღნიშნა ევროპის აკადემიური ცენტრის პრეზიდენტმა სირდ ქლოეთინგმა.



ევროპის აკადემიის თბილისის რეგიონული ცენტრის დირექტორის დავით ფრანგიშვილის თქმით, ქართული მეცნიერების ტრადიციებიდან, საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის თავისებურებებიდან გამომდინარე გადაწყდა, რომ საქართველოს განყოფილების აქცენტი გაკეთდება ბიო-კულტურული მრავალფეროვნებაზე.

„საქართველოს განყოფილების მისია იქნება ხელი შეუწყოს ბიოლოგიური, ეკოლოგიური, კულტურული, ლინგვისტური მრავალფეროვნების კომპლექსურ კვლევას. საერთოდ ბიოლოგიურ და კულტურულ მრავალფეროვნებას შორის კავშირების გამოვლენა და ანალიზი ძალიან მნიშვნელოვანია და ასეთი ანალიზის, ასეთი კვლევის მნიშვნელობა კაცობრიობის მომავლისთვის უფრო იკვეთება“, – განაცხადა დავით ფრანგიშვილმა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ერთეული – ევროპის აკადემიის თბილისის რეგიონული ცენტრი, დიდ ბრიტანეთში დაფუძნებული ევროპული აკადემიისა (Academia Europea) და თსუ-ს ერთობლივი ინიციატივით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიზნობრივი მხარდაჭერით იხსნება.

თსუ-ში ევროპის აკადემიის რეგიონული ცენტრის გახსნის გადაწყვეტილება „აკადემია ევროპეას“ მმართველი საბჭოს წევრებმა ბარსელონაში გასულ წელს ყოველწლიურ შეკრებაზე ერთხმად მიიღეს.

# მოსამზადებელი პროგრამა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები აბიტურიენტებისთვის

*1-ლი გვერდიდან*

პროექტი ითვალისწინებს სახელმწიფოს მრიდან მონაწილეთა სასწავლო თუ საცხოვრებელი ხარჯების სრულ უზრუნველყოფას, როგორც მომზადების პერიოდში, ასევე საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის გაგრძელების შემდეგ. განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილის ნათია ზედგინიძის თქმით, „პროგრამის მიზანია აბიტურიენტების პიროვნული და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, საზოგადოებაში ინტეგრაცია, მოქალაქეობრივი თვითშეგნების ამაღლება და ყველაფერი, რაც მათ მომავალ ცხოვრებას უზრუნველყოფს.“

საქართველოს სახელმწიფო მინისტრის შერიგების და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში ქეთევან ციხელაშვილის თქმით, ეს პროგრამა არის კიდევ ერთი კონკრეტული ნაბიჯი საქართველოს უკეთესი მომავლისკენ: „პროგრამამ, ერთი მხრივ, უნდა გაუმარტივოს იმ ახალგაზრდებს, რომელთაც მშობლიურ ენაზე განათლების მიღება შეზღუდული აქვთ, იმ განათლების მიღება, რომელსაც ვერ ახერხებენ ოკუპირებულ ტერიტორიაზე და, მეორე მხრივ, უმაღლეს სასწავლებლებში მოხვედრა. პროგრამაში ჩართული ახალგაზრდები მიიღებენ სტიპენდიას 150 ლარის ოდენობით.“

2019 წელს პროგრამაზე დარეგისტრირდა 142 მსურველი, საიდანაც 70-მა მოსამზადებელი კურსის გავლა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გადაწყვიტა. აბიტურიენტების უმრავლესობა – 68 აბიტურიენტი გალის, 2 კი – ახალგორის რაიონიდანაა. თსუ-ში დარეგისტრირებულებიდან 27 აბიტურიენტი, მოსამზადებელი პროგრამის განმავლობაში თსუ-ის ლისის სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში იცხოვრებს.

„ძალიან მინდა ჩავაბარო მედიცინის მიმართულებაზე. 2015 წელს დავამთავრე სკოლა, სწავლა გავაგრძელე კოლეჯში. მერე დავიწყე მუშაობა კლინიკაში. სამწუხაროდ, არ მქონდა საშუალება, რომ სწავლა გამეგრძელებინა. ეს პროგრამა ჩემი მიზნის მიღწევაში დამეხმარება“, – განაცხადა ახალგაზრდამ ოკუპირებული აფხაზეთიდან. ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები აბიტურიენტებისთვის განსაზღვრულია სამთვიანი ინტენსიური მოსამზადებელი პროგრამა, რომელსაც უწყვეტი განათლების ცენტრის აბიტურიენტთა მოსამზადებელი განყოფილება განახორციელებს. „70 ახალგაზრდა სხვადასხვა საგანში გაივლის სამთვიან კურსს, ყველა მოემზადება ქართულში, და დამატებით იმ საგანში, რომელი მიმართულებითაც მათ უნდათ უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელება. გარდა ამისა, ჩვენ მათ ვუგეგმავთ შეხვედრებს მათთვის საინტერესო პროფესორებთან, სტუდენტებთან, ვთავაზობთ სპორტულ-კულტურულ ღონისძიებებს“,- განაცხადა თსუ უწყვეტი განათლების ცენტრის ხელმძღვანელმა გია მამულაშვილმა. პროგრამის დასრულების შემდეგ აბიტურიენტები შეფასების და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ ორ გამოცდას ჩააბარებენ: ქართულ ენასა და ლიტერატურაში (რომელიც სავალდებულოა პროექტში მონაწილე ყველა აბიტურიენტისთვის) და მომავალი პროფესიის მაპროფილებელ საგანში.

საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები აბიტურიენტებისთვის სკოლისშემდგომი განათლებისთვის მოსამზადებელი პროგრამა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივით და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით თსუ-სა და ზუგდიდის შოთა მესხიას სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხორციელდება.



# საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე პროგრამა „საჯარო მმართველობა“ (შპაიერი) 10 წლისაა

*1-ლი გვერდიდან*

რომ საერთაშორისო აკრედიტებული პროგრამა ასევე ითვალისწინებს სტაჟირებას ევროპარლამენტში. ქეთასთვის ბრიუსელში გატარებული თვეები, თეორიული ცოდნის პრაქტიკული რეალიზაციის ერთ-ერთი განსაკუთრებული შესაძლებლობა აღმოჩნდა.





„ევროკავშირის პოლიტიკის მიმართ ჩემი განსაკუთრებული ინტერესიდან გამომდინარე, ევროპარლამენტში სტაჟირების გავლა დიდი ხნის სურვილი იყო, პროგრამა, ფაქტობრივად, ამ ოცნების ასრულებაში დამეხმარა. პრაქტიკები ბრიუსელში, ევროპარლამენტში შემოდგომაზე გავიარე და იქ გატარებული თვეები ერთ-ერთი საუკეთესო გამოცდილება იყო ჩემთვის, ძალიან ბევრი ახალი რამ ვისწავლე, რაც მთავარია, პრაქტიკაში გამოვიყენე უკვე დაგროვებული ცოდნა და ახალი უნარები შევიძინე. აქტიურად ვესწრებოდი პარლამენტის საკომიტეტო მუშაობებს, პოლიტიკური ჯგუფების სამუშაო შეხვედრებს, სხვადასხვა მაღალი დონის ღონისძიებას, კონფერენციას, სემინარს, ვწერდი ანგარიშებს და მიმოხილვებს, ასევე, ვმუშაობდი ანალიტიკურ დოკუმენტებზე, გავიცანი ძალიან საინტერესო ადამიანები და შევიძინე ახალი მეგობრები. ევროპარლამენტში სტაჟირებამ ბევრი ახალი შესაძლებლობის კარიც გამიხსნა, დარწმუნებული ვარ, ეს გამოცდილება მომავალშიც დამეხმარება კარიერულ წინსვლაში“, – ამბობს ქეთა. მან თსუ-ში შპაიერის სამაგისტრო პროგრამაზე ჩაბარება რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორის გათვალისწინებით გადაწყვიტა.

„2016 წელს, ბაკალავრიატზე სწავლის დასრულებისას მუშაობა დავიწყე და გადავწყვიტე, რომ იმ ეტაპზე საქართველოში გამეგრძელებინა მაგისტრატურაზე სწავლა, შესაბამისად, მინდოდა ამერჩია ისეთი პროგრამა, რომელიც მაქსიმალურად პრაქტიკულ და თანაც ახალ ცოდნას მომცემდა, ასევე, შესაბამისობაში იქნებოდა საერთაშორისო სტანდარტებთან და შრომის ბაზრის თანამედროვე მოთხოვნებთან. რამდენიმე მეგობარმა მირჩია შპაიერის საჯარო მმართველობის პროგრამა, რომელიც საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე პირველი სამაგისტრო პროგრამაა საქართველოში. შპაიერის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტი გერმანიაში ერთ-ერთი წამყვანი და გამოცდილია საჯარო მოხელეების მომზადების და გადამზადების კუთხით. იმ ფაქტმა, რომ თსუ ამ სამაგისტრო პროგრამას სწორედ შპაიერის უნივერსიტეტთან ერთად ახორციელებდა, დიდი როლი ითამაშა ჩემს არჩევანში. გარდა ამისა, ვიცოდი, თავის სფეროში გამორჩეული ქართველი ლექტორები და ასევე, გამოცდილი და ცნობილი გერმანელი პროფესორები წამიკითხავდნენ კურსებს. პროგრამის კიდევ ერთი დიდი პლიუსი, რომელმაც დამაინტერესა, იყო სავალდებულო პრაქტიკის მოდულები საქართველოში, საზღვარგარეთ და საზაფხულო სკოლა გერმანიაში, ეს ყველაფერი მთლიანად არის პროგრამის მიერ დაფინანსებული. დამატებით, პროგრამა ინგლისურენოვანი და მულტიდისციპლინურია, სხვადასხვა სფეროდან პრაქტიკულ ცოდნას გაძლევს, რაც ასევე დიდ პლიუსს წარმოადგენს. ამ ფაქტორების გათვალისწინებით ჩავთვალე, რომ ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში ყველაზე პერსპექტიული სამაგისტრო პროგრამა იყო, დღეს დარწმუნებული ვარ, რომ სწორი არჩევანი გავაკეთე“, – გვიყვება ქეთა.

„საჯარო მმართველობის“ პროგრამა 5 სემესტრიანია. 4 სემესტრი საგნებს, ბოლო სემესტრი კი სამაგისტრო ნაშრომს ეთმობა. სტუდენტები სემესტრში საშუალოდ 7-8 ინტენსიურ კურსს გადიან. ქეთას თქმით, ზოგჯერ ეს შეიძლება სირთულეებთანაც იყოს დაკავშირებული, რადგან ახალ საგნებს მალევე გადიხარ, თუმცა მისი თქმით, სხვადასხვა სფეროდან ამ მასშტაბის ცოდნის მოკლე დროში მიღება სხვანაირად, ფაქტობრივად, შეუძლებელია.

„ასეთი რეჟიმი მუდმივად ფორმაში ყოფნასაც „გაიძულებს“ და არ ეშვები. რადგან პროგრამა საკმაოდ ინტენსიურია და სტუდენტების უმეტესობა მუშაობს, ლექციები საღამოს საათებშია, გამოცდების დროებიც მაქსიმალურადაა მორგებული სტუდენტებზე, პროგრამის ადმინისტრაციისგან მხარდაჭერას და ხელშეწყობას ყოველთვის ვგრძნობდით. ყველაზე მეტად მომწონდა რომ საგნები სხვადასხვა დისციპლინიდანაა და მაძლევდა იმ პრაქტიკულ ცოდნას, რომელიც აუცილებლად სჭირდება მომავალ საჯარო მოხელეს და არა მხოლოდ. ბაკალავრიატზე პოლიტიკას და საერთაშორისო ურთიერთობებს ვსწავლობდი და ყოველთვის ვგრძნობდი, რომ მაკლდა და მჭირდებოდა ცოდნა ისეთ სფეროებში, როგორიცაა საერთაშორისო, ადმინისტრაციული თუ საკონსტიტუციო სამართალი, ეკონომიკა და ბიუჯეტირება, ადამიანური რესურსების მართვა და მენეჯმენტი და ა.შ. პროგრამამ ამ მიმართულებშიც შემძინა ცოდნა და გამიფართოვა ცოდნის არეალი. ასევე, გამიუმჯობესა ანალიტიკური უნარები, რადგან მხოლოდ ერთი პერსპექტივიდან აღარ აფასებ მოვლენებს. გარდა ამისა, როგორც ქართველი, ასევე, უცხოელი ლექტორები არიან არა მხოლოდ აკადემიაში/მეცნიერებაში, არამედ საჯარო სფეროში აქტიურად მომუშავე ადამიანები, მრავალწლიანი პროფესიული გამოცდილებით, რაც მათ საშუალებას აძლევს თეორიულთან ერთად, არანაკლებ ღირებული პრაქტიკული გამოცდილება გაუზიარონ სტუდენტებს“, – აღნიშნავს იგი.

ქეთა ჩვენთან საუბარში ამბობს,რომ ჯგუფი საკმაოდ მრავალფეროვანია. პროგრამაზე სწავლობენ როგორც იურისტები, ისე პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტები, ეკონომისტები. ყველა სხვადასხვა გამოცდილებით და ცოდნით, რაც, მისი აზრით, ლექციების დროს დისკუსიას და მსჯელობას კიდევ უფრო საინტერესოს ხდის.

„პროგრამა ითვალისწინებს გერმანიაში, შპაიერის უნივერსიტეტში 2-კვირიან საზაფხულო სკოლას. ამ ორი კვირის განმავლობაში ლექციები და სასწავლო ვიზიტები გვქონდა, როგორც გერმანიის საჯარო დაწესებულებებში, ასევე, ევროკავშირის სტრუქტურებში. ამასთან ერთად, იგი საშუალებას იძლევა შესაბამისი საგნების მოძებნის შემთხვევაში, გაცვლითი სემესტრით წახვიდე საზღვარგარეთ. სწორედ მაგისტრატურაზე სწავლის პირველივე წელს წავედი დუბლინის საუნივერსიტეტო კოლეჯში. საზღვარგარეთ სწავლა კიდევ უფრო დამეხმარა სწავლების ხარისხის შედარებაში და მინდა ვთქვა, რომ ეს პროგრამა საერთაშორისო სტანდარტებს ნამდვილად აკმაყოფილებს.

მინდა მომავალ სტუდენტებს ვუთხრა, რომ მნიშვნელოვანია იცოდნენ, მომავალში რა მიმართულებით სურთ მუშაობა, რათა პროგრამისგან მაქსიმალური ცოდნა და სარგებელი მიიღონ. „საჯარო მმართველობის“ სამაგისტრო პროგრამა ბევრ შესაძლებლობას გთავაზობს, მთავარია, სწორად გამოიყენო ისინი. უნდა იცოდნენ, რა სფეროში სჭირდებათ ცოდნის გაღრმავება და კიდევ უფრო მეტი ყურადღება სწორედ ამ საგნებს დაუთმონ. ლექტორების და ადმინისტრაციის მხარდაჭერის იმედიც ჰქონდეთ, აუცილებლად დაეხმარებიან პრაქტიკული რჩევებით. ასევე, პროგრამა როგორც პროფესორების, ასევე, ჯგუფელების სახით აუცილებლად შესძენთ ადამიანების ძალიან კარგ წრეს. ეს ადამიანები თავიანთი საქმის პროფესიონალები არიან და მათგან ძალიან ბევრ რამეს ისწავლიან. საზღვარგარეთ სტაჟირება კი ერთ-ერთი საუკეთესო გამოცდილება იქნება მათ ცხოვრებაში“, – ამბობს ქეთევან გოლეთიანი.

# თსუ სტუდენტების ფრანგული ისტორია „რენი 1“-ის უნივერსიტეტში

თსუ ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტი ვერიკო ნიკურაძე და ზუსტი და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის სტუდენტები ანა ჩიქოვანი და თამარ ბოჭორიშვილი პირველი ქართველი სტუდენტები არიან, რომლებიც ქართულ-ფრანგული უნივერსიტეტების თანამშრომლობის ფარგლებში რენის 1 უნივერსიტეტში სწავლობენ. საბაკლავრო საფეხურის სამივე სტუდენტი საფრანგეთში ერაზმუს+ პროგრამის ფარგლებში სწავლობს. რენი 1-ის უნივერსიტეტმა ქართულ-ფრანგული უნივერსიტეტების თანამშრომლობისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების შესახებ სტატია თავის ვებგვერდზე გამოაქვეყნა.

თსუ ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტი ვერიკო ნიკურაძე გვიყვება, რომ გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მიღება რენის უნივერსიტეტის პროფესორის მირიე დუკასეს გაცნობის შემდეგ გადაწყვიტა. მირიე დუკასე ქართულ-ფრანგული უნივერსიტეტების თანამშრომლობის ფარგლებში თსუ-ში იმყოფებოდა.

„ქალბატონი მირეი თანამშრომლობს თსუ-ს ინფორმატიკის მიმართულებასთან რომლის მაგისტრატურის სტუდენტიც გახლავართ. ის დაინტერესებულია ქართული ენით და მუშაობს სამეცნიერო პროექტზე, ქართული ზმნების შესახებ. Erasmus+-ის სტიპენდიის მოპოვების შემდეგ INSA Rennes-ში, რამდენიმე თანაკურსელთან ერთად დიდი ენთუზიაზმით ჩავერთე პროექტში.

სანამ თსუ-ში ჩავაბარებდი ვიცოდი, რომ იგი ბევრ ევროპულ უნივერსიტეტთან თანამშრომლობს და აქვს გაცვლითი პროგრამები. თანაც მთელი ჩემი ოჯახი თსუ კურსდამთავრებულია. თსუ გაცვლითმა პროგრამამ ბევრი ახალი შესაძლებლობა გადამიშალა თვალწინ. ყველა სტუდენტს ვურჩევ ხელიდან არ გაუშვას შანსი, რომელსაც Erasmus+ აძლევს ახალგაზრდებს. გარდა იმისა, რომ შეგვიძლია შევისწავლოთ მოწინავე ქვეყნებში თანამედროვე ტექნილოგიების უახლესი მიღწევები და ეს ცოდნა საკუთარ ქვეყანას გავუზიაროთ, ასევე გვეძლევა უნიკალური შანსი, გავეცნოთ სხვა ქვეყნის კულტურას, შევიძინოთ მეგობრები, გავაცნოთ მათ საქართველო და უფრო მეტად დავუახლოვდეთ ევროპას“, – ამბობს ვერიკო. მაგისტრატურის დამთავრების შემდეგ, ვერიკო სწავლის გაგრძელებას საფრანგეთში გეგმავს.

„თუ შესაძლებლობა მომეცა, ისევ რენის უნივერსიტეტს ავირჩევ, რადგან იქაური გარემო ძალიან მხიბლავს. სტუდენტებს ყველანაირი პირობა აქვთ შექმნილი, როგორც კარგი განათლებისთვის, ასევე კარგი განტვირთვისთვის. საბოლოოდ კი აუცილებლად დავმკვიდრდები საქართველოში, და ვეცდები ჩემი გამოცდილება ქვეყნის სასარგებლოდ გამოვიყენო“, – გვეუბნება ვერიკო.






# „მეცნიერების თასი“ – 2019

20 აპრილს გაიმართა ელექტრონული ტურნირის „მეცნიერების თასი-2019“ ფინალური ტური. ტურნირი ჩატარდა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტისა და სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი-საქართველოს ინიციატივით. მასში თბილისისა და რეგიონების საჯარო და კერძო სკოლების XI-XII კლასის მოსწავლეები მონაწილეობდნენ.



სამ ეტაპიანი შესარჩევი ტურების შედეგად წელს ფინალური ეტაპზე გადავიდა 11 გუნდი – 5 თბილისის, 2-2 რუსთავისა და ფოთის, თითო-თითო გორისა და კასპის სკოლებიდან. ფინალისტებსა და მათ გულშემატკივრებს მასპინძლობდნენ ფაკულტეტისა და SDSU-საქართველოს სტუდენტები, სტუდენტური თვითმმართველობა, მონაწილე სკოლების კურსდამთავრებული თსუ-ს სტუდენტები. მასპინძლებს შორის იყვნენ 2018 წლის ჩარიცხულ აბიტურიენტებს შორის პირველი და მეორე რეიტინგის მქონე დემურ მერკვილაძე და თამარ რაზმაძე.

ტურის მიმდინარეობისას გულშემატკივრებს უმასპინძლა თსუ საბავშვო უნივერსიტეტმა.

დახურვის ღონისძიებაზე ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა ასოც. პროფ. რამაზ ხომერიკმა და SDSU-საქართველოს დეკანის მოადგილემ დოქტორმა ნუგზარ დავითაშვილმა გამარჯვებულ გუნდებს გადასცეს SDSU-საქართველოსა და თსუ-ს მიერ დაწესებული პრიზები. გამარჯვებული და „მეცნიერების თასი – 2019“ მფლობელი გახდა სსიპ ვლადიმირ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის №199 საჯარო სკოლის გუნდი „კომაროვი“. გუნდის წევრები: ლევან გოგრიჭიანი, ნიკოლოზ ჩაფიძე, გიორგი შოგირაძე, ჯონი თოიძე, გიორგი კენჭოშვილი. ისინი სრულად დაფინანსდებიან SDSU-საქართველოს ფაკულტეტებზე ჩარიცხვის შემთხვევაში. მეორე ადგილზე გავიდა ამავე სკოლის გუნდი „მენდელეევ ტირე კლაპეირონი“ გუნდის წევრები: ირაკლი ანდღულაძე, თომა ფირცხელანი, ნინო ბერიშვილი, ნინო ტყეშელაშვილი, სოფო კიკნაძე, ხოლო მესამე ადგილი დაიკავა ქ. რუსთავის მე-7 საჯარო სკოლის გუნდმა „პენტაგონმა“ გუნდის წევრები: სანდრო გიგოლაშვილი, მარიამ ორდენიძე, გალაქტიონ მეტრეველი, ნიკოლოზ ლომიძე, ვიკა ალადაშვილი.

გეოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა პროფ ბეჟან თუთბერიძემ პირველი ადგილის მფლობელებს გეოლოგიის დეპარტამენტის და ეროვნული მუზეუმიის სახელით გადასცა სამახსოვრო საჩუქრები, ასევე საქართველოს ეროვნული მუზეუმის დირექტორის პროფ. დავით ლორთქიფანიძის ინიციატივით გამარჯვებული გუნდი ეწვევა ეროვნულ მუზეუმს.

დამსწრეებს მიესალმა თსუ საბავშვო უნივერსიტეტის ხელმძღვანელი ქალბატონი მარინა ლომოური. ფინალისტებს სერტიფიკატებთან ერთად გადაეცათ თსუ სამახსოვრო საჩუქრები.

სერტიფიკატები და სამახსოვრო საჩუქრები გუნდის კაპიტნებს, პაუხისმგებელი პირებისა და დირექტორებისთვის გადაეცათ არაფინალისტ მონაწილე გუნდებს, რომლებიც მოვიდნენ დახურვის ღონისძიებაზე. საორგანიზაციო კომიტეტმა წამახალისებელი პრიზი გაუგზვნა სსიპ ქალაქ სენაკის 1-ლი საჯარო სკოლის მოწავლეს ცოტნე გოგოლს, რომელიც მარტო მონაწილეობდა და ნახევარფინალში და აჩვენა მაღალი შედეგი.

შეხვედრის მონაწილეებმა სამახსოვრო სურათი გადაიღეს პირველი კორპუსის წინ.



### *პერსონალის მესამე საერთაშორისო კვირეული*

ევროპის წამყვან უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გასულ კვირას პერსონალის მესამე საერთაშორისო კვირეული დაიწყო. კვირეულის ფარგლებში თსუ-მ გერმანიის, საფრანგეთის, პორტუგალიისა და ესპანეთის 13 წამყვანი უნივერსიტეტის 23 წარმომადგენელს უმასპინძლა. საერთაშორისო კვირეული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში წელს მესამედ ჩატარდა.



### *შეხვედრა ბასკეთის დელეგაციასთან*

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ ბასკეთის (ესპანეთის სამეფო) დელეგაცია მიიღო. თსუ რექტორმა ბასკეთის საგარეო საქმეთა გენერალურ მდივანს მარიან ელორსას, გენერალური სამდივნოს საგარეო საქმეთა დეპარტამენტის დირექტორს ლეირე მადარიაგას, საზღვარგარეთ ბასკური ენისა და კულტურის გამავრცელებელი ინსტიტუტის დირექტორს ირენე ლარასა და ბასკეთის საინვესტიციო და სავაჭრო ორგანიზაციის დირექტორს იანიაკი ესკურას უნივერსიტეტის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა, ისაუბრა ევროკავშირის პროგრამაში „ერასმუს +“ თსუ ჩართულობაზე. შეხვედრაზე საუბარი შეეხო თსუ-სა და ბასკეთის სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის არსებულ თანამშრომლობასა და მის შემდგომ განვითარების პერსპექტივას. შეხვედრას ესწრებოდა ესპანეთის სამეფოში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ილია გიორგაძე.

### *საბავშვო უნივერსიტეტის საინფორმაციო შეხვედრები რეგიონებში დაიწყო*

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესახებ საინტერესო ინფორმაციის მიღება არა მხოლოდ უნივერსიტეტში, არამედ მის გარეთაც, სხვადასხვა ქალაქებსა თუ რეგიონებშიც არის შესაძლებელი.

თსუ უწყვეტი განათლების ცენტრის სტრუქტურულმა ერთეულმა, საბავშვო უნივერსიტეტმა საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები მარნეულიდან დაიწყო. უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა მარნეულის საჯარო სკოლის მოსწავლეებს თსუ-ში არსებული სასწავლო პროცესის, ასევე, კულტურული და სპორტული აქტივობების შესახებ მიაწოდეს ინფორმაცია და მათთვის საინტერესო შეკითხვებს უპასუხეს.

მსგავსი საინფორმაციო შეხვედრები სისტემატურად ჩატარდება. საბავშვო უნივერსიტეტი შეხვედრებს ტრადიციულად მთელი საქართველოს მასშტაბით გამართავს.



### *კონფერენცია „გამოყენებითი ბიომეცნიერებები და ბიოტექნოლოგია – 2019“*

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნა სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც რომელიც „მე-2 საერთაშორისო სამეცნიერო სკოლა-კონფერენციის „გამოყენებითი ბიომეცნიერებები და ბიოტექნოლოგია – 2019“ ფარგლებში გაიმართა. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოსა და მსოფლიოს წამყვან ინსტიტუტებსა და კვლევითი ცენტრებში მოღვაწე ქართველმა და უცხოელმა მეცნიერებმა, აგრეთვე, ქართული სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, ქართული უნივერსიტეტების სტუდენტებმა.

კონფერენციაზე ქართველი და უცხოელი მეცნიერებმა დამსწრე საზოგადოებას გაუზიარეს საკუთარი გამოცდილება და ისაუბრეს თანამედროვე ბიოტექნოლოგიის პრაქტიკულ ასპექტებსა და პერსპექტივებზე. კონფერენციის ფარგლებში გაიმართა სტუდენტური სესია, სადაც ახალგაზრდა მეცნიერებმა წარმოადგინეს სასტენდო მოხსენებები. კონფერენცია, რომელიც 5 აპრილამდე გაგრძელდება, თსუ-ს, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ორგანიზებითა და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით გაიმართა. ღონისძიების პარტნიორი ორგანიზაციები გახლდნენ: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი და საქართველოს ბიოტექნოლოგიის ასოციაცია.



### *თსუ ფრანგულ უნივერსიტეტთან „რენი1“ ერთობლივი პროექტების განხორციელებაზე მუშაობს*

ფრანგულ უნივერსიტეტებთან ერთობლივი პროგრამების განხორციელებაზე ისაუბრეს თსუ რექტორმა გიორგი შარვაშიძემ და უნივერსიტეტი რენი 1-ის ვიცე-რექტორმა პიერ ვან დე ვეგემ. მოლაპარაკებები ხორციელდება ფრანგულ-ქართული საუნივერსიტეტო ჩარჩოს ეგიდით, რომლის ინიციატორი იყო საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობა და რომელსაც საქართველოში წარმოადგენს საფრანგეთის რესპუბლიკის საელჩო. თსუ რექტორისა და უნივერსიტეტი რენი 1-ის ვიცე-რექტორის შეხვედრაზე საუბარი შეეხო ერთობლივი ხარისხის მიმნიჭებელ სამაგისტრო პროგრამებს, რომელზეც სწავლა ინგლისურ ენაზე განხორციელდება. ერთობლივ პროგრამებზე სტუდენტთა პირველი ნაკადის მიღება ახალი სასწავლო წლიდან იგეგმება.



### *მემორანდუმი თსუ-სა და პორტალ “ლინგვინგს” შორის*

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს საშუალება ექნებათ ქართულ პორტალ „ლინგვინგზე“ შეღავათიან ფასად შეისწავლონ უცხო ენები. თსუ სტუდენტებისგან შემდგარმა 50 კაციანმა საპილოტე ჯგუფმა პორტალ „ლინგვინგზე“ (lingwing.com) უკვე გაიარა უცხო ენების ერთი კურსი, მეორე კურსისთვისაც შეირჩევა 10 სტუდენტი, რომელიც, ასევე უფასოდ, შეისწავლის „ლინგვინგის“ მიერ შემოთავაზებული 6 უცხო ენიდან ნებისმიერს. ამ შესაძლებლობას სტუდენტებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და „ლინგველს“ შორის გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმი აძლევს. მემორანდუმის ფარგლებში მხარეები ქვეყანაში განათლების სფეროში ინოვაციური პროექტების განვითარებას შეუწყობენ ხელს, ასევე საჯარო ლექციების, ტრენინგების, მასტერკლასების, სხვადასხვა ტიპის კონკურსების ორგანიზებაში მზადყოფნას გამოხატავენ. მემორანდუმს ხელი თსუ რექტორმა გიორგი შარვაშიძემ და „ლინგვინგის“ დირექტორმა ვახტანგ ველიაშვილმა მოაწერეს.

მემორანდუმის თანახმად, „ლინგვინგი“ ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის სტუდენტების ჩართვას სხვადასხვა ღონისძიებაში, ევროპული ენების პოპულარიზაციის მიზნით, საქართველოში აკრედიტებული უცხოური ორგანიზაციების და დონორების ჩართულობას, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების მიმართულებით სტუდენტური სტარტაპების ხელშეწყობის მიზნით ურთიერთთანამშრომლობას.

# სევილის წარმატების გზა განათლებისკენ – როცა წინაღობები არ გაშინებს

სკოლის დამთავრებიდან 10 წლის შემდეგ, სევილმა მრავალი დაბრკოლების მიუხედავად „1+4“ პროგრამა გაიარა და დიდი ხნის ოცნება აიხდინა. უმაღლეს სასწავლებელში ჩააბარა. თუ როგორი იყო სევილის ყოფა, უმაღლესში ჩაბარებამდე ამის შესახებ ხალხმა უფრო მას შემდეგ შეიტყო, რაც თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კინო-ტელეხელოვნების მიმართულების პედაგოგმა ნინო გელოვანმა იგი თავის სამწუთიანი დოკუმენტური ფილმის გმირად შეარჩია.

ჩვენც გადავწყვიტეთ უფრო მეტი გაგვეგო ახლაგაზრდა ქალზე, რომელმაც ბევრი დაბრკოლების მიუხედავად თავისი ბედის შეცვლა გადაწყვიტა.



### *სევილი უნივერსიტეტამდე და უნივერსიტეტში*

უმაღლესში ჩარიცხვამდე გავიარე „1+4“ პროგრამა, თუმცა ვერ ვიტყოდი, რომ ქართული ამ პროგრამით შევისწავლე. ქართული კარგად ვიცოდი, უბრალოდ ძალიან დიდი დრო, 10 წელი იყო გასული სკოლის დამთავრებიდან. ამიტომ ქართულის გრამატიკული კუთხით შეხსენება მჭირდებოდა. ეს ფაქტორი მნიშვნელოვანი აღმოჩნდა იმ თვალსაზრისით, რომ მოვხვდი სწორედ იმ, რომელშიც მინდოდა, თსუ-ში. ჩემი ოცნება თსუ-ში სწავლა იყო, რადგან ვთვლი, რომ ის საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი სასწავლებელია. იურიდიულ ფაკულტეტზე ჩაბარება კი იმიტომ გადავწყვიტე, რომ ცხოვრებაში ძალიან ბევრი უსამართლობა შემხვდა და მთელი ცხოვრება უსამართლობას ვებრძვი. მინდა უფრო მეტად ვიბრძოლო და იმ ადამიანებს დავეხმარო, ვინც ჩემნაირ სიტუაციაში აღმოჩნდება და დახმარებას ითხოვს.

ჩემთვის სწავლა ადვილი არ არის იმ თვალსაზრისით, რომ მარტოხელა დედა ვარ, ორი მცირეწლოვანი შვილი მყავს, რომლებსაც მარტო ვზრდი. ამავდროულად რამდენიმე სამსახურში ვმუშაობ. ზედმეტად გადატვირთული გრაფიკი მაქვს, თუმცა მაინც ვახერხებ, რომ შვილებსაც მივხედო, სამსახურსაც და სასწავლებელსაც. საგნების სწავლა არ მიჭირს, ვინაიდან უკვე 6 წელია რაც თარჯიმნად ვმუშაობ და ამ სფეროსთან მაქვს შეხება. შეიძლება ითქვას, რომ ყოველდღიურად პრაქტიკებს გავდივარ. მონაწილეობას ვიღებ ნამდვილ სასამართლო პროცესებსა და საგამოძიებო მოქმედებებში. ეს ძალიან მეხმარება უნივერსიტეტში საგნების ადვილად სწავლაში.

### *„სკოლაშივე არსებობდა სწავლის გაგრძელების ხელისშემშლელი ფაქტორები“*

ყოველთვის მინდოდა უმაღლესი განათლების მიღება. თავის დროზე ვერ მოვახერხე და იმედს ვიტოვებდი, რომ როდესმე აუცილებლად ჩავაბარებდი. იურიდიული იმიტომ ავირჩიე, რომ ბევრი უსამართლობა შემხვდა ცხოვრებაში, ამასთან, თარჯიმნად დავიწყე მუშაობა და ჩემს თავში აღმოვაჩინე იურისტი. ეს იყო სრულიად დამოუკიდებელი გადაწყვეტილება, ვინაიდან სკოლის პერიოდშივე ვფიქრობდი, რომ აუცილებლად გავაგრძელებდი სწავლას უმაღლეს სასწავლებელში. როგორც კი მომეცა საშუალება, მაშინვე ჩავაბარე და სანუკვარი ოცნება ავიხდინე.

სკოლაში სწავლის პერიოდშივე იყო სწავლის გაგრძელების ხელისშემშლელი ფაქტორები. ძალით იტაცებდნენ გოგოებს. ამის გამო მომიწია მეცხრე კლასიდან გამოსვლა. თუმცა, მეთერთმეტე კლასში დავუბრუნდი სკოლას. ჩავაბარე ექსტერნად გამოცდები და ავიღე ატესტატი. შემდგომ იგივე ვითარება გრძელდებოდა და ჩემს მშობლებს ჩემი სასწავლებლად გაშვება ეშინოდათ. თუმცა, მაინც გავხდი მოტაცების ინსტიტუტის მსხვერპლი, რის გამოც სწავლას ვერანაირად ველარ შევძლებდი.

ბავშვობიდან მქონდა დიზაინერული ნიჭი. მართალია ამ განხრით უმაღლესი განათლების მიღების საშუალება არ მომეცა, იმდენად დავხვეწე ჩემში ეს ნიჭი, რომ ჩემით პროფესიონალურ დონეზე ვისწავლე კერვა და სამოსის დიზაინის მოფიქრება. ამ საქმეზე 10 წელი ვიმუშავე.

ამიტომ როდესაც მომეცა უმაღლესი განათლების მიღების საშუალება დიზაინერის სპეციალობაზე აღარ ჩავაბარე, აღარაფერი მქონდა ამ სფეროში სასწავლი და თან უკვე იურისპრუდენცია მაინტერესებდა.

### *არავის მისცეთ თქვენი აზრის გამოხატვის შეზღუდვის უფლება...*

ზოგადად ვთვლი, რომ განათლების მიღება აუცილებელია თითოეული ადამიანისთვის, წარმატებული მომავლისთვის, სწორი და გააზრებული გადაწყვეტილებების მიღებისთვის და რაც მთავარია დამოუკიდებლობისთვის.

უმაღლესში ჩაბარებით მართლაც გავხდი უფრო ინტეგრირებული, დამოუკიდებელი, მიზანდასახული, ძლიერი, უფრო თავდაჯერებული და რა თქმა უნდა, ძალიან ცუდ მდგომარეობას დავაღწიე თავი და ეს არის დასაწყისი.

ბევრისთვის შესაძლოა რთული წარმოსადგენი იყოს, რთული იყოს ამ ნაბიჯის გადადგმა, მაგრამ მინდა ვუთხრა ყველა იმ ქალს, რომელიც მსგავს სიტუაციაშია შეუძლებელი არაფერია, მოინდომეთ და ყველაფერი გამოგივათ. ძალიან კმაყოფილი ვარ ჩემი გადაწყვეტილებით, არც ერთი წამით არ მინანია რომ ჩავაბარე და ვსწავლობ, მიუხედავად იმისა, რომ ზედმეტად გადატვირთული გრაფიკი მაქვს და ძლივს ვასწრებ ყველაფერს ერთად. ხანდახან სხვადასხვა მიზეზის გამო მიწევს ხოლმე ლექციების გაცდენა, რაზეც გული მწყდება.

ჩემს თანატოლებს და ყველა იმ ადამიანს, რომელიც მსგავს სიტუაციაშია, ვურჩევ, რომ აუცილებად მიიღონ განათლება, მიაღწიონ დამოუკიდებლობას, ყოველთვის გააჩნდეთ საკუთარი აზრი და რაც მთავარია არავის არ მისცენ უფლება საკუთარი აზრის გამოხატვის შეზღუდვისა. გაიგონ საკუთარი უფლებები და არავის დაარღვევინონ საკუთარი უფლებები. ვთვლი, რომ ძალიან ბევრია მსგავს სიტუაციაში და უბრალოდ ვერ ბედავენ ნაბიჯის გადადგმას, ამიტომ ჩემი მაგალითი ბევრისთვის იქნება ბიძგი ამ ნაბიჯის გადასადგმელად. აუცილებელი არაა ესენი იყვნენ ჩემი ნაცნობები, დარწმუნებული ვარ ბევრი უცხო ადამიანისთვის კარგი მაგალითი ვიქნები.

ამ დროისთვის რამდენიმე კომპანიაში ვმუშაობ თარჯიმნად (თურქული, რუსული, აზერბაიჯანული ენების თარჯიმანი ვარ), პარალელურად ვსწავლობ უნივერსიტეტში და ვზრდი ორ მშვენიერ პრინცესას. ყველაფერი, რასაც ვაკეთებ ჩემი შვილებისთვის ვაკეთებ, მათი უკეთესი მომავლისთვის. სწავლის დამთავრების შემდეგ ადვოკატურის გამოცდების ჩაბარებას და პროკურატურის სტაჟირების გავლას ვაპირებ. ასევე აუცილებლად სწავლის გაგრძელებას მაგისტრატურაში. ვინაიდან მიჩვეული ვარ ერთდროულად ბევრი საქმის კეთება ვიცი, რომ ამასაც შევძლებ. არაფერი მაშინებს, არანაირი დაბრკოლება. მზად ვარ ვიბრძოლო ბოლომდე.

პირველ რიგში, ნინო გელოვანს მინდა დიდი მადლობა გადავუხადო იმისთვის, რომ ასეთი კარგი ფილმი მოამზადა, რომ მიპოვა, მომისმინა და მაყურებელს ამ ფილმის საშუალებით მიაწოდა ზუსტად ის, რაც რეალურად გადამხდა. ეს არ იყო წინასწარ დადგმული სცენა, ეს იყო ჩვეულებრივი საუბარი ნინო გელოვანთან. ამ ფილმის მეშვეობით მინდოდა ყველა იმ ქალისთვის მიმეწვდინა ხმა, ვინც ძალადობის მსხვერპლია: გამაგრდით, თქვენ არ ხართ მარტოები, უკან არ დაიხიოთ, თუ მე შევძელი, თქვენც შეძლებთ. მას შემდეგ, რაც ნინო გელოვანის ფილმის გმირი გავხდი ძალიან ბევრმა ადამიანმა ნახა ეს ფილმი და იყო ბევრი ზარი, დადებითი კომენტარი, ბევრმა არც იცოდა რა მაქვს გამოვლილი. უნივერსიტეტიდანაც მოჰყვა გამოხმაურება. მინდა მადლობა გადავუხადო თითოეულ ადამიანს ვინც გამომეხმაურა ტკბილი სიტყვებით, სიხარულისგან ცრემლებიც კი მომადგა. მინდა ყველა იმ ადამიანს გადავუხადო მადლობა ვინც მამხნევებს, და სულ მეუბნება „მაგარი გოგო ხარ, ამდენი რომ შეძელი“.

ცნობისათვის, ნინო გელოვანის ფილმმა „სევილ" დიდ ბრიტანეთში ოფიციალური შერჩევის პირველი ეტაპი გაიარა. მეორე ეტაპი მაისის თვეში დაიწყება. ფილმი ფესტივალის ონლაინ პორტალზე-Vიმეო განთავსდება. ხმის მიცემის საფუძველზე შეირჩევა 5 საუკეთესო ფილმი, გამარჯვებული ფილმის რეჟისორს საშუალება მიეცემა გადაიღოს მოკლემეტრაჟიანი ფილმი აშშ-ში ან დიდ ბრიტანეთში.

# თსუ მაგისტრანტი ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაციის (ელსა) გენერალური მდივანი

„ბევრჯერ მიფიქრია, რომ არა ელსა და თსუ, როგორი იქნებოდა ჩემი ცხოვრება. მგონია, რომ ჩემს არჩევაში უნივერსიტეტს უდიდესი წვლილი მიუძღვის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიღებულმა ცოდნამ და შესაძლებლობებმა, მომცა იმის შანსი, რომ ეს ნაბიჯი გადამედგა.

დიახ, ელსას წარმომადგენლობა თსუ-ში არსებობს და მეტიც, ელსა საქართველოს ისტორია სწორედ თსუ-დან იწყება, ჩვენი დამფუძნებლები ამ უნივერსიტეტის სტუდენტები იყვნენ და ადმინისტრაციის დახმარებისა და ხელშეწყობის შედეგად 2008 წელს საქართველოში ელსას წარმომადგენლობა დაარსდა. მას შემდეგ, რა თქმა უნდა, გავიზარდეთ და ახლა უკვე წარმოდგენილები ვართ, არამარტო თბილისის, არამედ ბათუმისა და ქუთაისის მასშტაბით“, – ამბობს ნანა.

2019 წლის 24-31 მარტს აზერბაიჯანში, ქ. ბაქოში, ასოციაციის საერთაშორისო საერთო კრება გაიმართა, რომელსაც ასოციაციის 38 წევრი სახელმწიფოს წარმომადგენელი ესწრებოდა. განიხილებოდა ასოციაციისთვის მნიშვნელოვანი საკითხები და ამასთანავე მოხდა შემდეგი წლის გამგეობა დაკომპლექტდა.

„რა დროსაც მეც, მხვდა პატივი საერთო კრებას ავერჩიე გენერალური მდივნის პოზიციაზე,2019 წლის ივლისიდან ძალიან საინტერესო ეტაპი იწყება ჩემს ცხოვრებაში, პირველ რიგში, ტრადიციისამებრ, დაგეგმილია 1 თვიანი გადაბარების პერიოდი, რა დროსაც მოქმედი გამგეობა ახალ გამგეობას დეტალურ ტრენინგებს უტარებს მათი საქმიანობის გაცნობის მიზნით, ამასთანავე, ხდება ერთი წლის სამოქმედო გეგმის შემუშავება. გარდა ამისა, უკვე დაგეგმილია რამდენიმე ვიზიტი სხვადასხვა პროექტის ორგანიზატორ ქვეყანაში, სადაც ადგილზე გავეცნობი მათ საქმიანობას. რაც შეეხება, გენერალური მდივნის მოვალეობებს, მისი საქმიანობა არის ძალიან მრავალფეროვანი და საინტერესო. ამ პოზიციაზე მყოფი ადამიანი პასუხისმგებელია სრულად ასოციაციის შიდა მენეჯმენტზე, რაც მოიცავს ადამიანურ რესურსებს, კომუნიკაციას, ადმინისტრაციულ საკითხებს, „ცოდნის მენეჯმენტს“, ინფორმაციულ ტექნოლოგიებსა და ტრენინგებს.

გარდა ამისა, გენერალური მდივანი არის 8 კაციანი გამგეობის წევრი, რომელიც მთელს ასოციაციას უწევს კოორდინირებას და წარმოადგენს ელსას უმაღლეს აღმასრულებელ ორგანოს“, – ამბობს ნანა.

ის 2013 წლის შემოდგომაზე ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაციის ადგილობრივ, ლოკალურ წარმომადგენლობაში, ელსას სემინარებისა და კონფერენციების სფეროში ვიცე-პრეზიდენტის აპარატის წევრი გახდა და ამ ამპლუაში სხვა წევრებთან ერთად აორგანიზებდა პროექტებს. შემდეგ იყო 2015 წელი, როცა ამ აპარატის უფროსად დაინიშნა, ხოლო 2016 წელს უკვე ელსა თბილისის გენერალურ მდივნად აირჩიეს, რაც 2017 წელს მისი,როგორც ელსა თბილისის პრეზიდენტად არჩევით დაგვირგვინდა.

„ჩემი გამოცდილების გათვალისწინებით, შესაძლებლობა მქონდა სხვადასხვა რაკურსით დამენახა ასოციაციის მუშაობა და უშუალოდ გენერალური მდივნისთვის აუცილებელი ცოდნა მიმეღო. ამ წლის დასაწყისიდანვე ელსას შიდა ორგანიზაციულ ღონისძიებებს ვესწრებოდი სხვადასხვა ქვეყნებში: საბერძნეთში, ნიდერლანდებში, საფრანგეთში, ხორვატიაში, ბელგიაში, გერმანიაში, ესტონეთში, რათა მაქსიმალურად მოვმზადებულიყავი კანდიდატობის ეტაპისთვის და მიმეღო რელევანტური გამოცდილება.

შემდეგი ერთი წლის განმავლობაში, ვგეგმავ საკუთარი თავი მივუძღვნა ასოციაციას, რომელმაც ძალიან ბევრი რამ მასწავლა. მინდა, მიღებული ცოდნა და გამოცდილება ელსას მოვახმარო და ყველა ვალდებულება, რომელიც ჩემი კანდიდატურის დაყენებით ვიკისრე, პირნათლად შევასრულო, შევიტანო წვლილი მის განვითარებაში და საკუთარი კვალი დავტოვო ორგანიზაციის ისტორიაში.

6 წლის წინ, ერთი ქართველი იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტის ცხოვრება რადიკალურად შეცვალა ამ ორგანიზაციამ და, ვფიქრობ, მსგავსი გამოცდილების მიღება ყველა სტუდენტისთვის საინტერესო იქნება, როგორც პროფესიული, ასევე პიროვნული განვითარებისთვის“, – აღნიშნავს ნანა გეგია.

გაზეთი მომზადდა თსუ საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ. საკონტაქტო ინფორმაცია – ტელ: 2 22 23 91; ელ.ფოსტა: tsupr@tsu.ge; ვებგვერდი: www.tsu.edu.ge